<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებული სკვერისთვის მწერლისა და დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებულ სკვერს მიენიჭოს მწერლისა და დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩა
1 : 1360
გეოგრაფიული (გრძედი,განე

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032315256**
თარიღი: **01/06/2023**

ქალბატონო ეთერ

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის გადაწყვეტილებით, მიმდინარეობს საქმისწარმოების პროცესი, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებულ უსახელო სკვერისთვის გაბრიელ სუნდუკიანის სახელის მინიჭების მიზნით. გთხოვთ, მერიის შესაბამისი სამსახურიდან უზრუნველყოთ სკვერის კარტოგრაფიული მონაცემების გამოთხოვა.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)



გაბრიელ სუნდუკიანი

(1825-1912)

მწერალი, დრამატურგი. კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი სომხურ ლიტერატურაში

დაიბადა ვაჭრის ოჯახში. 1838-1846 წლებში თბილისის სხვადასხვა პანსიონსა და გიმნაზიაში სწავლობდა. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1850). სამსახური დაიწყო თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიაში, შემდეგ მუშაობდა კავკასიის გზათა სამმართველოს სამეურნეო განყოფილების უფროსად და სამოქალაქო გენერლის ჩინს მიაღწია. სუნდუკიანი მხარში ამოუდგა თბილისის ამქრებს სოციალური უფლებებისათვის ბრძოლაში (1865), მონაწილეობდა ქალაქის საბჭოს მუშაობაშიც. ლიტერატურული საქმიანობა 60-იან წლებში დაიწყო. მისი მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული სომხურ თეატრთან, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორიც თვითონ იყო. სუნდუკიანის პირველი კომედია „საღამოს ცხვირი ხეირია“ დაიდგა 1863 წელს (გამოიცა 1866, ქართული თარგმანი 1911), „ხათაბალა“ — 1866 (გამოიცა 1881), „ოსკან პეტროვიჩი საიქიოში“ — 1866 (გამოიცა 1899, ქართული თარგმანი 1901, კრებული „ცხოვრების სარკე“), „კიდევ ერთი მსხვერპლი“ — 1870 (გამოიცა 1894), „პეპო“ — 1871, ქართულ სცენაზე — 1875 (გამოიცა 1876, ქართული თარგმანი 1876, გაზეთი „დროება“ № 2, ცალკე წიგნად 1880). სუნდუკიანი წერდა ძირითადად სომხური ენის თბილისურ დიალექტზე, რომელიც მრავლადშეიცავს ქართულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ფართოდ იყენებდა თბილისურ ფოლკლორს. ყოველივე ამან განაპირობა მისი ენის თავისებურება. სუნდუკიანის პიესები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. ქართულად თვითონ ავტორი თარგმნიდა. მისი სახელი მინიჭებული აქვს ერევნის დრამატულ თეატრს.